მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის ანალიზი საქართველოში

ვაჟა ხარატიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი აბაშიშვილი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორცწარდგენილისამაგისტრონაშრომისავტორი, ვაცხადებ, რომნაშრომიწარმოადგენსჩემსორიგინალურნამუშევარსდაარშეიცავსსხვაავტორებისმიერაქამდეგამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლადმიღებულანდასაცავადწარდგენილმასალებს, რომლებიცნაშრომშიარარისმოხსენიებულიანციტირებულისათანადოწესებისშესაბამისად.

ვაჟა ხარატიშვილი

03.07.2015

აბსტრაქტი

მცირე და საშუალო ბიზნესი, მათი საქმიანობის განვითარება და არსებული მდგომარეობის შეფასება, გამოკვლევა მნიშვნელოვანია ნებისმიერი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის. იმისათვის, რომ მათი საქმიანობა იყოს ეფექტური და მცირე და საშუალო ბიზნესს ჰქონდეს სტაბილური გარემო, ამისათვის საჭიროა შესაბამისი ნაბიჯები სახელმწიფოს მხრიდან. აღნიშნულ ბიზნეს სექტორზე ორიენტირებული პროგრამები, მარეგულირებელი ორგანოები, ნაკლები ბარიერები, მხარდაჭერა აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში და სხვ. ეს ის მოკლე ჩამონათვალია, რომელთა დარეგულირებასაც საჭიროებს მცირე და საშუალომ ბიზნესი.

მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის მდგომარეობის ანალიზისთვის ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანია იმ პრობლემების იდენტიფიკაცია, რომლის წინაშეც დგას დღეს ქართული მეწარმეობა და შემუშავებულ იქნას გზები, რომ გაუმჯობესდეს აღნიშნული ბიზნეს სექტორის მდგომარეობა საქართველოში.

ნაშრომში მოცემულია ქართული მეწარმეობის განვითარების ეტაპები. რამ შეუწყო ხელი საქართველოში მეწარმეობის განვითარებას და რა პროცესები ახლდა თან. პარალელურად ნაშრომი მოიცავს ფართო ინფორმაციას წამყვან სახელმწიფოებში მსს-ის წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები და შემდგომ რეკომენდაციები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მცირე და საშუალო ბიზნესის როლს საქართველოსთვის. ნაშრომი გვიქმნის ნათელ წარმოდგენას დღეს არსებული მდგომარეობის შესახებ და გვაძლევს საშუალებას მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შესაბამისი დასკვნები გავაკეთოთ .

მადლობა

მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს ბატონ გიორგი აბაშიშვილს, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია სამაგისტრო თემის უფრო მეტ კონკრეტიზაციაში და საკვლევი ობიექტებისა და კვლევის მეთოდების განსაზღვრაში. ასევე ინფორმაციების მოპოვებაში უშუალოდ პირველადი წყაროებიდან, რამაც საერთო ჯამში განსაზღვრა სამაგისტრო ნაშრომის სრულყოფა.

მადლობას ვუხდი ასევე კვლევაში მონაწილე რესპოდენტებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალება მომცა და აღნიშნულ ნაშრომს უფრო მეტი შრომითი ღირებულება შესძინა.